

ცენტრის საკოორდინაციო საბჭოსთან შეხვედრის ოქმი N1

26 ოქტომბერი, 2020 წელი

მიმდინარე წლის 26 ოქტომბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორი ცენტრის საკოორდინაციო საბჭოს შეხვდა. Covid-19 პანდემიის გავრცელების აღკვეთის მიზნით, ცენტრი ონლაინ რეჟიმში განაგრძობს მუშაობას, აქედან გამომდინარე საკოორდინაციო საბჭოს სხდომა ონლაინ რეჟიმში გაიმართა. სხდომას ესწრებოდნენ ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი, დირექტორის მოადგილე ლაშა მარგიშვილი, დირექტორის მოადგილე კახაბერ ერაძე, ცენტრის დაგეგმვის, კვლევისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ხატია ცირამუა და საკოორდინაციო საბჭოს წევრები.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ საკოორდინაციო საბჭოს შემდეგი წევრები:

1. ნუნუ მიცკევიჩი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე;
2. გიორგი შარვაშიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
3. გიგა ზედანია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
4. დავით გურგენიძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი;
5. როლანდ კოპალიანი - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;
6. ზურაბ ვადაჭკორია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორი;
7. დავით კერესელიძე - ა(ა)იპ - „ნიუ ვიჟენ-უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე;
8. ანი ქიტიაშვილი - ფილოლოგიის დოქტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
9. გიორგი ქურდიანი - სტუდენტი ;
10. ნიკოლოზ მესხიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის წარმომადგენელი ნიკოლოზ მესხიშვილი; (ნიკოლოზ მესხიშვილი სხდომას ესწრებოდა ა(ა)იპ - საქართველოს ფერმერთა ასოციაციის თავმჯდომარის ნინო ზამზახიძის ნაცვლად. მოქმედი პროტოკოლის მიხედვით ნიკოლოზ მესხიშვილს განხილვაში მონაწილეობა არ მიუღია).

საკოორდინაციო საბჭოს სხდომა 16:00 საათზე დაიწყო და 18:30 საათზე დასრულდა.

საბჭოს შეხვედრის დღის წესრიგი

16:00-16:30 ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების პრეზენტაცია - მომხსენებელი ცენტრის დირექტორი თამარ მახარაშვილი;

16:30-16:45 კითხვა-პასუხი;

16:45-17:15 უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული ასოციაციის (ENQA) ექსპერტების ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ცენტრის მიერ მომზადებული წინადადებები - ცენტრის დირექტორის მოადგილე ლაშა მარგიშვილი.

17:15-17:30 კითხვა-პასუხი.

ცენტრის დირექტორმა თამარ მახარაშვილმა საკოორდინაციო საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა შეხვედრაში მონაწილეობისთვის. პრეზენტაციის პირველი ნაწილი დაეთმო 2016-2020 წლებში ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასებას. ცენტრის დირექტორმა ისაუბრა ცენტრის ინსტიტუციური განვითარების, უმაღლესი, პროფესიული და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მიღწეულ ძირითად შედეგებზე. ცენტრის დირექტორი ასევე შეეხო საგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდაჭერის სერვისების განვითარების, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პრინციპებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემის განვითარების უზრუნველყოფის მიმართულებით ცენტრის მიერ განხორციელებულ საქმიანობას. თამარ მახარაშვილმა ისაუბრა არსებული საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით განათლების აღიარების სერვისების სრულყოფის მნიშვნელობაზე, ცენტრის მიერ ბოლო წლებში მიღწეულ წარმატებებზე საუბრისას ცენტრის დირექტორმა ხაზი გაუსვა ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით ცენტრის მიღწევებს. მისი განცხადებით, ცენტრის მთავარი მონაპოვარი ENQA-ს წევრობაა და ამასთანავე ეს ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა, მან მადლობა გადაუხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს იმისთვის, რომ მათ მოახერხეს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების რგოლის შექმნა. დირექტორმა ასევე ისაუბრა ცენტრის EQAR-ში დარეგისტრირებაზე, მის მნიშვნელობაზე და აღნიშნა, რომ ცენტრს აქაც აქვს თავისი ვალდებულებები. მან ასევე ისაუბრა CEENQA-ს წევრობაზე და მის მნიშვნელობაზე, ესტონეთის და უკრაინის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან გაფორმებულ თანამშრომლობის ხელშეკრულებებზე. ბოლონის პროცესის სამეთვალყურეო ჯგუფის (BFUG) და თემატურ საექსპერტო ჯგუფებში ცენტრის აქტიურ ჩართულობაზე. ცენტრის დირექტორმა ხაზი გაუსვა

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული Twinning-ის პროექტის მნიშვნელობას ცენტრის ინსტიტუციური გამდიერებისთვის.

პრეზენტაციის მეორე ნაწილი დაეთმო ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების პრეზენტაციას. ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, მომდევნო წლებში ცენტრი საქმიანობას განახორციელებს ექვსი ძირითადი სტრატეგიული მიზნის მიმართულებით. ცენტრის ძირითადი სტრატეგიული მიზნებია: ცენტრის ინსტიტუციური განვითარება, ინტერნაციონალიზაცია, სერვისების განვითარება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის სისტემის განვითარება. პრეზენტაციის დასკვნით ნაწილში, ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ცენტრის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტული საკითხია კლასტერულ აკრედიტაციაზე გადასვლა, რომლის პილოტირებას ცენტრი 2021 წელს დაიწყებს. პროფესიული განათლების მიმართულებით ცენტრის ძირითადი გამოწვევაა მომზადება-გადამზადების პროგრამების ზრდა და არაფორმალური განათლების განვითარების პროცესში მყარად პოზიციონირება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ნაწილში ხარისხის ცენტრი ღია თანამშრომლობისთვის. ცენტრის დირექტორმა ასევე აღნიშნა, რომ სამედიცინო განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, ცენტრი მხედველობაში მიიღებს WFME-ის რეკომენდაციებს, აუცილებლად მოხდება მედიცინის მიმართულების დარგობრივ მახასიათებლებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა. ცენტრის დირექტორმა აღნიშნა, რომ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილში, ძალიან სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი, რომელიც ორიენტირებული იქნება მხარდაჭერასა და განვითარებაზე. მან ასევე აღნიშნა, რომ ცენტრი დაწესებულებებს მაქსიმალურად შეუწყობს ხელს იმისთვის, რომ მომავალ თაობას მიაწოდონ ხარისხიანი განათლება.

საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე, დირექტორის მოადგილემ ლაშა მარგიშვილმა გააკეთა პრეზენტაცია უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული ასოციაციის (ENQA) ექსპერტების ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ცენტრის მიერ მომზადებული წინადადებებთან დაკავშირებით. დირექტორის მოადგილემ დეტალურად ისაუბრა ENQA-ს რეკომენდაციებზე, როგორც მან აღნიშნა, ცენტრი ამ რეკომენდაციების გათვალისწინებით სავალდებულო მონიტორინგს დაექვემდებარა და ეს 2021 წელს განხორციელდება. მან ასევე აღნიშნა, რომ ENQA-ს ამ რეკომენდაციებისთვის ცენტრში დირექტორის ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი და ჯგუფს დაევალა წინადადებების შემუშავება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ შეიძლება ცენტრის მიერ ამ რეკომენდაციების გათვალისწინება. დირექტორის მოადგილემ ასევე ისაუბრა ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოს საქმიანობაში, პოლიტიკასა და პროცესებში ENQA-ს რეკომენდაციების გათვალისწინების მნიშვნელობაზე, ყველა დაინტერესებული მხარის

ცენტრის მმართველობის პროცესში ჩართულობის საჭიროებაზე, საკოორდინაციო საბჭოს უფლებამოსილების გაზრდასა და ცენტრის მმართველობის სისტემაში მისი როლის გაზრდის საჭიროებაზე, რომ მოხდეს საკოორდინაციო საბჭოს ფუნქციის ცვლილება საკონსულტაციო ორგანოდან გარდაიქმნას გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოდ. ლაშა მარგიშვილი ასევე შეეხო ავტორიზაციის/აკრედიტაციის/სააპელაციო საბჭოების შერჩევის არსებულ კრიტერიუმებში ცვლილებების აუცილებლობას. მან ისაუბრა ცენტრის უფლებამოსილების გაზრდის მნიშვნელობაზე საბჭოების წევრების შერჩევის პროცესში. პრეზენტაციაში ყურადღება გამხვილდა ცენტრის მიდგომებზე ENQA-ს სხვა რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით, რაც მოიცავს ერთობლივი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში „ევროპული მიდგომის“ გამოყენებას, უცხოური ორგანიზაციის მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარებას, თემატური ანალიზის განხორციელების პროცესში სისტემური მიდგომების დანერგვას და სხვადასხვა თანმდევი (ე.წ. "Follow-up") პროცედურების - მონიტორინგის პროცესების განხორციელების დეტალების განსაზღვრას. ლაშა მარგიშვილი ასევე ისაუბრა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებულ კონკრეტულ წინადადებებზე, რომლის მიზანიცაა საჩივრების განხილვის პროცედურების გაუმჯობესება.

შეხვედრის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭოს წევრებმა გამოთქვეს თავიანთი მოსაზრებები.

საკოორდინაციო საბჭოს წევრმა გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, რომ ცენტრმა ჩაატარა მნიშვნელოვანი სამუშაოები და ისაუბრა ENQA-ს რეკომენდაციების შესრულების მიმართულებით ცენტრის მიერ სამომავლოდ განსახორციელებელ ღონისძიებებზე. მან შეხვედრის მონაწილეებს ცენტრის დაფინანსების შესახებ საკუთარი ხედვა გაუზიარა და აღნიშნა, რომ დაფინანსების ნაწილში მისასალმებელი იქნება ცენტრის მეტი დამოუკიდებლობა. ამასთან, გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, რომ არის დასაფიქრებელი ცენტრის უფრო მეტად დამოუკიდებლობის საკითხი და ამ მიმართულებით სამუშაოა ჩასატარებელი. კლასტერული აკრედიტაციის სისტემასთან დაკავშირებით გიორგი შარვაშიძემ აღნიშნა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მზადაა ჩაერთოს კლასტერული აკრედიტაციის პილოტირების პროცესში. იგი ასევე შეეხო ექსპერტთა კორპუსის გაძლიერების თემასაც და ხაზი გაუსვა ამ მიმართულებით ცენტრის მუშაობის გაძლიერების მნიშვნელობას.

საკოორდინაციო საბჭოს წევრი გიგა ზედანია შეეხო კლასტერული აკრედიტაციის თემას. მან კლასტერული აკრედიტაციის შესახებ გამოთქვა თავისი მოსაზრება და ისაუბრა უკვე აკრედიტაცია გავლილ პროგრამებთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ ის პროგრამები, რომლებმაც ბოლო წლებში გაიარეს აკრედიტაცია, სასურველია ვადის გასვლამდე არ დაექვემდებარონ კლასტერულ აკრედიტაციას.

დასკვნით სიტყვაში ცენტრის დირექტორმა თამარ მახარაშვილმა მადლობა გადაუხადა ყველას თანამშრომლობისა და მხარდაჭერისათვის.

სხდომის თავმჯდომარე: გიორგი შარვაშიძე

სხდომის მდივანი: გიორგი ქურდიანი



დანართი: 2 (ორი) პრეზენტაცია

1. პრეზენტაცია: ცენტრის 2021-2025 წლების სტრატეგიული მიზნები და ამოცანები;
2. პრეზენტაცია: უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სააგენტოების ევროპული ასოციაციის (ENQA) ექსპერტების ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ცენტრის მიერ მომზადებული წინადადებები.